

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო

უნივერსიტეტი



ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების წესი

2019

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში - სასწავლო უნივერსიტეტის) ბიუჯეტის შედგენის წესს.
2. სასწავლო უნივერსიტეტის) ბიუჯეტის პროექტს ამზადებს სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
3. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობით და ამტკიცებს რექტორი სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი

1. ბიუჯეტი არის სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით შემოსავლებისა და გასანევი ხარჯების ერთობლიობა, რომელიც მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ;
2. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს შემუშავებს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად რექტორთან შეთანხმებით და განხილვისათვის წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
3. აკადემიური საბჭო განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტს და მას შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს ან მოწონების შემთხვევაში ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს და ბრძანების გამოსაცემათ წარუდგენს რექტორს.
4. თუ ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური დაეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით დაამტკიცებს აკადემიური საბჭო.
5. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფლებამოსილი პირი არ ეთანხმება აკადემიური საბჭოს შენიშვნებს, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური წარმომადგენელს უფლება აქვს ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი დასაბუთებული შენიშვნებით დასამტკიცებლად დაუბრუნოს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 3. ბიუჯეტის ფორმირება

1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი ფორმირდება დასაშვები ფინანსირების ყველა წყაროს გათვალისწინებით და მოიცავს საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებს.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების წყაროებია:
 - ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სტუდენტის მიერ მოპოვებული სასწავლო გრანტით;
 - ბ) ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
 - გ) გრანტის სახით მიღებული შემოსავლები
 - დ) კერძო შემონიჭების სახით მიღებული შემოსავლებით;
 - ე) აკადემიური პერსონალის მიერ მოპოვებული სამეცნიერო-კვლევითი გრანტებით;
 - ვ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
 - ზ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
 - თ) მონყვლად სტუდენტებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი გრანტებით;
 - ი) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, საქმიანობით მიღებული შემოსავლები.
 - კ) სასწავლო უნივერსიტეტის კერძო მფლობელობაში არსებული მმართველი რგოლის დამატებითი სხვა შემოსავლების წყაროდან;
3. სასწავლო უნივერსიტეტის ხარჯები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 4. ბიუჯეტის დამტკიცება

სასწავლო უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტი მტკიცდება კალენდარული წლის დასაწყისში, გამონაკლის შემთხვევაში კი არაუგვიანეს 25 იანვრისა. ასეთ შემთხვევაში წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური სამსახური უფლებამოსილია დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები მხოლოდ მიმდინარე ხარჯებისათვის და დროებით ისარგებლოს წინა წლის დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრებით.

მუხლი 5. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
2. სასწავლო უნივერსიტეტის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში საბიუჯეტო წლის განმავლობაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის გადაწყვეტილებით მთლიანი ასიგნების მხოლოდ 10%-ის ფარგლებში რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 6. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექვემპლარს) განთავსებულია ვებ გვერდზე